ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის შესყიდვის

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2015

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია 3

2. დანართი №1, ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ 8

3. დანართი №2, ინფორმაცია სპეციალისტთა კვალიფიკაციის შესახებ 9

4. დანართი №3, ფასების ცხრილი 10

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1. შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების და სხვადასხვა სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - **იხ. დანართი №3**.

1.2. ტექნიკური პირობები:

1.2.1. გასაწევი მომსახურება:

საველე კვლევა-ძიება და კამერალური სამუშაოები;

ა) საპროექტო სამუშაოები;

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;

გ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

დ) საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა:

ე) დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენა;

ვ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

ზ) გეოლოგიური გამოკვლევა.

1.2.2. დავალების შინაარსი

შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაოები შეასრულოს სამუშაოები კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით. რიგ შემთხვევებში დასაშვებია საბაზრო ფასების გამოყენების პრაქტიკაც;

ბ) საკვლევაძიებო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები, გარდა სამშენებლო მოედნისა, ტერიტორიის გამოყოფის და გათავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;

გ) პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

დ) პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების და დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით;

ე) მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე.

1.2.3. დავალების შესრულების წესი

ა) დავალების შესრულების წესი განისაზღვრება დავალების შინაარსით და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თითოეული ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის ცალკე ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვების მომზადება. ასევე პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქუჩებზე საკაბელო არხების მოწყობა. ნებისმიერი სამუშაოს დაპროექტება შეთანხმებული უნდა იყოს ქ. ბათუმის მერიასთან.

1.2.4. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

- სნიპ II-7-81 = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-საძიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ 2.03.0I-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-23-81 = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ II-25-80 = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;

შენიშვნა: სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს საქართველოში მიღებული შესაბამისი სხვა ნორმებით და სტანდარტებით.

1.2.5. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

1.2.6. კუთვნილება

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიში, გრაფიკული ან სხვა სახის მასალი ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის ნაწილის ან სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

1.2.7. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე, PDF ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

1.3. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2012, 2013, 2014) და 2015 წლის 1 აგვისტომდე შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) მომსახურება საერთო ღირებულებით არანაკლებ 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №1** შესაბამისად.

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები, მიღება-ჩაბარების აქტების ასლები). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

1.4. ინფორმაცია პრეტენდენტის სპეციალისტთა გამოცდილების შესახებ:

ა) პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 3 (სამი) წლის გამოცდილება;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №2** შესაბამისად;

1.5. ფასების ცხრილი:

ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №3** შესაბამისად;

ბ) ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

გ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

დ) თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მეასედებამდე. შესაბა-მისად, შეამციროს საერთო ფასიც;

ე) <u>იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის დასკვნა (აკრედიტებული</u>

პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.6. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

1.6.1. ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

დ) შემსყიდველი, გაწეული მომსახურების მთლიანად დასრულების შემდეგ ახდენს გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულების 10%-ის დაკავებას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვლისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შესრულებამდე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის უზრუნველსაყოფად;

ე) თუ მიმწოდებლის მიერ შედგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დაშვებული (აღმოჩენილი) იქნება ხარვეზი (უზუსტობა/შეუსაბამობა), რომელიც მნიშვნელოვნად (ნაწილობრივ ან/და აბსოლუტურად) შეცვლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების მოცულობას, ხასიათს, შინაარსს (პუნქტებს-პოზიციებს), განფასებასა და ვადებს, ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაკავებული 10 %-ის ანაზღაურება შემსყიდველის მიერ არ მოხდება, გარდა ობიექტური მიზეზით გამოწვეული შემთხვევებისა, რომელიც უნდა დადასტურდეს შემსყიდველის მიერ დოკუმენტურად;

ვ) გამოვლენილი ხარვეზის (უზუსტობის/შეუსაბამობის) სანაცვლოდ დაკავებული 10 %-ის დაკავება (არანაზღაურება შემსყიდველის მხრიდან), მიმწოდებელს არ ათავისუფლებს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობაში დაუყონებლივ მოყვანის ვალდებულებისაგან;

1.6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების წესი:

ა) მომსახურების გაწევას “მიმწოდებელი” ასრულებს საკუთარი ძალებით. დოკუმენტაციის შედგენის ვადა განისაზღვრება მიმწოდებლის მითითებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის 50%-მდე დასაშვებია გადაეცეს “შემსყიდველის” მიერ მოწონებულ ქვეიჯარე ორგანიზაციას. მომსახურების ნაწილის ქვეიჯარაზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

1.6.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით;

ბ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

გ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

1.6.4. მიწოდების ვადა:

ა) მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 დეკემბრამდე.

1.7. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის **1.6.** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

1.8. პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

1.9. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფასების ცხრილი;
- ტექნიკური პირობები;
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები;

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.10. საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენ-დენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; პირველი სართული, მე-7 ოთახი; E mail: tender@batumi.ge; საკონტაქტო პირი: იამზე ზოსიძე, ტელეფონი: (0422) 27 26 18.

2. დანართი №1

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეული მომსახურების ღირებულება
1				
2				
...				
ჯამი (2012 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2013 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2014 წელი)				
1				
2				
...				
	ჯამი (2015 წელის 1 აგვისტომდე)			
სულ ჯამი				

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

3. დანართი №2

ინფორმაცია პრეტენდენტის სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

№	სახელი, გვარი	თანამდებობა, სპეციალობა	სამუშაოს საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიური მომსახურების გამოცდილება	უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების წელი, სპეციალობა, დიპლომის მიხედვით	ორგანიზაციების დასახელება და დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით
1						
2						
3						
...						

შენიშვნა: არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას, რაც იმავე წესის 24-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს მის დარეგისტრირებას კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ **ბ.ა**

4. დანართი N3

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

სატენდერო წინადადების ფასი _____

№	საპროექტო მომსახურების დასახელება	მომსახურების სავარაუდო ღირებულება (ლარი)	მომსახურების პროცენტი	ღირებულება
1	ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების და სხვადასხვა სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	10 000 000		

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა